**სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**ბრძანება №03-1770**

13.11.2014

ქ. თბილისი

2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადოქტორო საფეხურზე მიღების გამოცხადების, რეგისტრაციის ვადებისა და პროცედურის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 49-ე მუხლის პირველი პუნქტის, 56-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, აკადემიური საბჭოს მიერ 2014 წლის 5 ნოემბრის №105 სხდომის ოქმით დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულების" საფუძველზე, რექტორის 2014 წლის 12 ნოემბრის N01-4561 მინდობილობის, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის გიორგი გვალიას 2014 წლის 13 ნოემბრის №03-37718/14 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. გამოცხადდეს მიღება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ხელოვნების ინტერდისიპლინურ სადოქტორო პროგრამაზე, 6 ადგილზე, შემდეგ მიმართულებებზე:

ა) ფსიქოლოგიის მიმართულება;

ბ) სოციოლოგიის მიმართულება;

გ) ფილოლოგიის მიმართულება;

დ) მუსიკის მიმართულება.

2. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დოქტორანტურის საფეხურზე სწავლის გაგრძელების მსურველებმა 2014 წლის 14 ნოემბრიდან 15 დეკემბრის 18:00 საათის ჩათვლით, ელ. მისამართზე phd@iliauni.edu.ge უნდა გადმოაგზავნონ შემდეგი დოკუმენტაცია (აღნიშნული დოკუმენტები უნდა გადმოიგზავნოს ერთ ფაილად აკინძული PDF - ფორმატში, წინააღმდეგ შემთხვევაში კანდიდატის საბუთები არ განიხილება):

ა) სარეგისტრაციო ფორმა;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული მაგისტრის (ან მასთან გათანაბრებული) ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი ან ცნობა ხარისხის მინიჭების შესახებ, თუ დიპლომი ჯერ გაცემული არ არის.

დ) ავტობიოგრაფია (CV) (არაუმეტეს 2 გვერდისა);

ე) 2 ფოტოსურათი 3X4–ზე;

ვ) ინგლისური ენის ცოდნის არანაკლებ B2 დონის ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო ვალიდური სერთიფიკატი (TOEFL, IELTS, FCE) ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი (დიპლომის ვალიდობა უნდა იყოს დადასტურებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) იმ შემთხვევაში თუ დოქტორანტობის კანდიდატს მაგისტრატურის საფეხური დამთავრებული აქვს საქართველოს ფარგლებს გარეთ, შესაბამისი ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტთან - დიპლომთან ერთად უნდა წარმოადგინოს განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი - უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ;

ვ) სადოქტორო კვლევის განაცხადი;

ზ) სამუსიკო ხელოვნების საკომპოზიტორო და საშემსრულებლო მიმართულებებზე სწავლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ საკომპოზიტორო/საშემსრულებლო პორტფოლიო და შემოქმედებითი კვლევის განაცხადი.

3. დოქტორანტურის საფეხურზე სწავლის გაგრძელების მსურველებს, გარდა ამ ბრძანების მეოთხე პუნქტით გათვალისწინებული პირებისა, რომლებმაც წარმატებით გაიარეს რეგისტრაცია, წერილობითი გამოცდა ინგლისურ ენაში ჩაუტარდებათ 2014 წლის 20 დეკემბერს;

4. ინგლისური ენის გამოცდისგან თავისუფლდებიან ის პირები, რომლებიც რეგისტრაციის დროს წარმოადგენენ ინგლისური ენის ცოდნის არანაკლებ B2 დონეზე ფლობის დამადატურებელ ვალიდურ საერთაშორისო სერთიფიკატს (TOEFL, IELTS, FCE) და ასევე ის პირები, რომლებიც წარმოადგენენ ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელ დიპლომს (დიპლომის ვალიდობა უნდა იყოს დადასტურებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ);

5. ინგლისური ენის გამოცდის მინიმალური ბარიერია - 65 ქულა;

6. ინგლისური ენის გამოცდის შედეგები უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსდება 2014 წლის 20 დეკემბერს;

7. ინგლისური ენის გამოცდასთან დაკავშირებით სააპელაციო განაცხადების მიღება იწარმოებს 22 დეკემბრიდან 24 დეკემბრის ჩათვლით უნივერსიტეტის კანცელარიაში (მის: ჩოლოყაშვილის გამზ. 3/5);

8. ინგლისური ენის გამოცდის შედეგები აპელაციის შედეგების გათვალისწინებით უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსდება 2014 წლის 26 დეკემბერს;

9. ინგლისური ენის გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში განიხილება კვლევითი განაცხადი;

10. კვლევითი განაცხადის შეფასება უნივერსიტეტის ვებ-გვედზე განთავსდება 2015 წლის 26 იანვარს;

11. კვლევითი განაცხადის შეფასების მინიმალური ზღვარია - 3 ქულა;

12. კვლევითი განაცხადის შედეგებთან დაკავშირებით სააპელაციო განაცხადების მიღება იწარმოებს 2015 წლის 27, 28 და 29 იანვარს, უნივერსიტეტის კანცელარიაში (მის: ჩოლოყაშვილის გამზ. 3/5);

13. კვლევითი განაცხადის შეფასება აპელაციის შედეგების გათვალისწინებით უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსდება 2015 წლის 2 თებერვალს;

14. იმ კანდიდატთათვის, რომლებმაც წარმატებით გაიარეს ინგლისური ენის გამოცდა და კვლევით განაცხადში მიიღეს დადებითი შეფასება გასაუბრება ჩატარდება 2015 წლის 4, 5 და 6 თებერვალს;

15. გასაუბრების შედეგები უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსდება 2015 წლის 9 თებერვალს;

16. გასაუბრების შედეგებთან დაკავშირებით სააპელაციო განაცხადების მიღება იწარმოებს 10, 11 და 12 თებერვალს უნივერსიტეტის კანცელარიაში (მის: ჩოლოყაშვილის 3/5);

17. სააპელაციო კომისიების წინაშე გასაუბრება ჩატარდება 2015 წლის 16 თებერვალს;

18. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს დაევალოს 2015 წლის 18 თებერვალს ჩასარიცხ კანდიდატთა საბოლოო სია, აპელაციის შედეგების გათვალისწინებით, განათავსოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;

19. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადოქტორო საფეხურზე ჩასარიცხი კანდიდატები სწავლის გაგრძელების სურვილის დასადასტურებლად და ხელშეკრულების გასაფორმებლად უნდა გამოცხადნენ 2015 წლის 19 და 20 თებერვალს, მის: ჭავჭავაძის N32, ოთახი A202 და თან უნდა იქონიონ შემდეგი დოკუმენტები:

ა)პირადობის მოწმობა ან პასპორტი (ორიგინალი);

ბ)აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული მაგისტრის (ან მასთან გათანაბრებული) ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი (ორიგინალი) ან ცნობა ხარისხის მინიჭების შესახებ, თუ დიპლომი ჯერ გაცემული არ არის (ორიგინალი);

გ)ინგლისური ენის ცოდნის არანაკლებ B2 დონის ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო ვალიდური სერთიფიკატი (TOEFL, IELTS, FCE) (ასეთის არსებობის შემთხვევაში)(ორიგინალი);

დ)ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი (დიპლომის ვალიდობა უნდა იყოს დადასტურებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ) (ორიგინალი) (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე)იმ შემთხვევაში თუ დოქტორანტობის კანდიდატს მაგისტრატურის საფეხური დამთავრებული აქვს საქართველოს ფარგლებს გარეთ, შესაბამისი ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტთან - დიპლომთან ერთად უნდა წარმოადგინოს განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი - უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ (ორიგინალი);

ვ) 2 ფოტოსურათი და ელ. ვერსია ელექტრონულ მატარებელზე (CD)

20. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს დაევალოს, 2015 წლის 23 თებერვალს მიაწოდოს რექტორს იმ პირების სია, რომელთაც გააფორმეს ხელშეკრულება მათი ჩარიცხვის შესახებ ბრძანების გამოსაცემად;

21. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს დაევალოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე ატვირთოს კანდიდატთა მიერ წარმოსადგენი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით დამტკიცებული ფორმები;

22. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანს, გიორგი გვალიას;

23. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა;

24. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს, ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

25. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, სამდივნოს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დავით აფრასიძე